ხელშეკრულება № 17

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გორი 18 სექტემბერი 2017 წ.

ერთი მხრივ, ააიპ - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის მარტა ბიბილაშვილის სახით (შემდგომში - დამსაქმებელი) და მეორე მხრივ, სარა ელიზაბეთ ფელდმანი (პ.ნ. 59891000110) (შემდგომში - დასაქმებული) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.შრომითი ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს.

1.2.ხელშეკრულება ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას.

1.3.ხელშეკრულება დადებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი ;საქონლის/მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა.

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით დასაქმებული ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის, „აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონალური პროგრამა მდგრადი მუნიციპალური განვითარებისათვის, აღმოსავლეთ სამეზობლოს საფლაგმანო ინიციატივის მხარდასაჭერად", ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში წარსადგენი სრული საპროექტო განაცხადის მომზადება. CPV(71319000).

2.2 მიმწოდებელი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს 2017 წლის 10 ოქტომბრამდე შემსყიდველის მისამართზე (ქ.გორი, სტალინის გამზ. ქ. #16).

მუხლი 3.ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. დამსაქმებელი ვალდებულია:

3.1.1. დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები;

3.1.2 აუნაზღაუროს დასაქმებულს ზიანი, რომელიც გამოწვეულია დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევით;

3.3. დასაქმებული ვალდებულია:

3.3.3.შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.3.4. გაუფრთხილდეს ცენტრის ქონებას, დაიცვას უსაფრთხოების წესები;

3.3.5. აანაზღაუროს მის მიერ ცენტრისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი;

მუხლი 4. შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი

4.1დასაქმებულის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1537.5(ათას ხუთას ოცდაჩვიდმეტი ლარი 50 თეთრი) ლარის(625 $ ექვივალენტი ლარში , ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით 1$=2,46) ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის მის მიერ მითითებულ ან დამსაქმებლის მიერ სპეციალურად გახსნილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

მუხლი5. მხარეთა პასუხისმგებლობის წესი

5.1შრომითი ხელშეკრულების მხარეები პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებაზე და შეუსრულებლობით წარმოშობილ ზიანზე.
5.2მხარეთა პასუხისმგებლობის სახეები და ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, მოქმედი კანონმდებლობით და შინაგანაწესით.

მუხლი6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 10 ნოემბრამდე.
6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
6.3 წინამდებარე ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
6.4 ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამსაქმებელი	**დასაქმებული**
	სარა ელიზაბეთ ფელდმანი
ააიპ - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ცენტრი	პირადი № 59891000110
საიდენტიფიკაციოკოდი: 418469516 მის: გორი გორიჯვრის # 26 დირექტორი მარტა ბიბილაშვილი	მისამართი:ქ. თბილისი ივანე კერესელიძის ქ. #4 სს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22 ა/ა GE92TB7397845163700002
_____	_____